

დეზინფორმაციის მიმართ მონყვლადობა

მედიაწიგნიერების, პოლარიზაციისა და
კონსპირაციული ამროვნების როლი

CRRC-საქართველო
2025

დეზინფორმაციის მიმართ მოწყვლადობა: მედიაინფორმაციის, კოლარიზაციისა და კონსპირაციული აზროვნების როლი 2025

ავტორები: ლია ჩხეტიანი, თინათინ ბანძელაძე

CRRC-საქართველო

თბილისი 0179, ლიბიკო ქავთარაძის #1

<https://www.crrc.ge>

crrc-geo@crrccenters.org

ანგარიში მომზადდა პროექტის **“ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობისთვის”** ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ მის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს CRRC-საქართველოს ან შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ოფიციალურ პოზიციას.

სარჩევი

დიაგრამები.....	3
შესავალი.....	4
ლიტერატურის მიმოხილვა.....	5
პარტიული მიკუთვნებულობა.....	5
პოლიტიკური პოლარიზაცია და დეზინფორმაცია.....	6
კონსპირაციული აზროვნება და დეზინფორმაცია.....	7
მეთოდოლოგია.....	8
მონაცემთა შეგროვების მეთოდი.....	8
მონაცემთა ანალიზის მეთოდი.....	8
შედეგები.....	11
მედიანიგნიერების უნარები.....	11
დეზინფორმაციისადმი მოწყვლადობის პოტენციური ფაქტორები.....	14
დემოგრაფიული პროფილი.....	14
პარტიული მიკუთვნებულობა და დეზინფორმაცია.....	18
პოლიტიკური პოლარიზაცია და დეზინფორმაცია.....	22
კონსპირაციული აზროვნება და დეზინფორმაცია.....	23
დასკვნა.....	27

დიაგრამები

დიაგრამა 1: რამდენად ხშირად გაგჩენიათ ეჭვი, რომ ახალი ამბავი, რომელსაც ეცნობით, მცდარი/არასწორია? (%) რამდენად ხშირად გადაგიმონმებიათ მცდარი/არასწორი ახალი ამბების სიზუსტე? (%).....	12
დიაგრამა 2: სიმართლეა თუ არ არის სიმართლე მოცემული დებულება? (%).....	13
დიაგრამა 3: რამდენად შეესაბამება ან არ შეესაბამება სიმართლეს მოცემული დებულებები? (%).....	14
დიაგრამა 4: დემოგრაფიული ცვლადები და გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირე...15	
დიაგრამა 5: დემოგრაფიული ცვლადები და ინფორმაციის გადამონმების სიხშირე.....	16
დიაგრამა 6: დემოგრაფიული ცვლადები და ინფორმაციის სწორად შეფასების უნარი.....	17
დიაგრამა 7: რამდენად შეესაბამება ან არ შეესაბამება სიმართლეს მოცემული დებულებები (ანტიდასავლური-მარცხნივ, პროდასავლური-მარჯვნივ) (პროგნოზირებული ალბათობა).....	18
დიაგრამა 8: საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი მათგანი დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (%).....	19
დიაგრამა 9: პარტიული მიკუთვნებულობა და გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირე. 19	
დიაგრამა 10: პარტიული მიკუთვნებულობა და გავრცელებული ინფორმაციის გადამონმების სიხშირე	20
დიაგრამა 11: პარტიული მიკუთვნებულობა და ინფორმაციის სწორად შეფასების უნარი.....	20
დიაგრამა 12: რამდენად შეესაბამება ან არ შეესაბამება სიმართლეს მოცემული დებულებები (ანტიდასავლური-მარცხნივ, პროდასავლური-მარჯვნივ) (პროგნოზირებული ალბათობა).....	21
დიაგრამა 13: პოლარიზაციის ინდექსი (%).....	22
დიაგრამა 14: პოლარიზაცია, ინფორმაციის გადამონმების სიხშირე (მარცხნივ) და ინფორმაციის სწორად შეფასების უნარი (მარჯვნივ).....	23
დიაგრამა 15: გვერათ თუ არა, რომ არსებობს „გლობალური ომის პარტია“, რომელიც მსოფლიოში მნიშვნელოვან პროცესებს მართავს? (%) (მარცხნივ); კონსპირაციული აზროვნების ინდექსი (%) (მარჯვნივ).....	24
დიაგრამა 16: კონსპირაციული აზროვნება და გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირე. 25	
დიაგრამა 17: კონსპირაციული აზროვნება და ინფორმაციის გადამონმების სიხშირე.....	25
დიაგრამა 18: რწმენა „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის შესახებ და ინფორმაციის სწორად შეფასების უნარი.....	26

შესავალი

დებინფორმაცია არის არასწორი, არაზუსტი ინფორმაცია, რომელიც მიზანმიმართულად ვრცელდება ადამიანების შეცდომაში შესაყვანად- გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენის მოპოვების მიზნით. დებინფორმაციას მოაქვს ზიანი საზოგადოებისთვის, ხოლო სარგებელი - მისი გამავრცელებლისათვის¹. დებინფორმაცია ძირს უთხრის ინფორმირებულ საზოგადოებრივ დებატებს, ამცირებს ნდობას ინსტიტუტებისა და მედიის მიმართ და აღიქმება საფრთხედ დემოკრატიისთვის. დებინფორმაციის კამპანიები და შინაარსით მანიპულაცია ართულებს მოქალაქეებისთვის გამჭვირვალე, სანდო ინფორმაციულ სივრცეში არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას².

დებინფორმაციისადმი მოწყვლადობა დაკავშირებულია მრავალფეროვან ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებთან. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ პოლარიზაციას, რომელიც ამძაფრებს ინფორმაციის შერჩევით მოხმარებას; კონსპირაციულ აზროვნებას, რომელიც ზრდის არაოფიციალური და გადაუმონმებელი წყაროებისადმი ნდობას; და პოლიტიკური მიკუთვნებულობას, რომელიც ხშირად განსაზღვრავს, როგორ აღიქმება სხვადასხვა ინფორმაცია.

პოლიტიკური პოლარიზაცია და პარტიული მიკუთვნებულობა: როდესაც პარტიული მიკუთვნებულობა აქტიურდება, იზრდება მოტივირებული სკეპტიციზმი - ადამიანები მკაცრად აფასებენ მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტებს და რბილად უდგებიან „საკუთარი ბანაკის“ წყაროებს, რაც ამცირებს ფაქტებზე ორიენტირებულ შეფასებას³. ამ პროცესს ხშირად თან ერთვის მედიის შერჩევითი მოხმარება - მიდრეკილება, მივმართოთ იმ არხებსა და შინაარსს, რომელიც ჩვენი პოლიტიკური პოზიციის შესაბამისია. შერჩევითი მოხმარება ზრდის დებინფორმაციულ შინაარსთან შეხების ალბათობას⁴.

კონსპირაციული აზროვნება: აზროვნების კონსპირაციული სქემები ამზადებს ნიადაგს დებინფორმაციის მისაღებად, ამცირებს ოფიციალური წყაროებისადმი ნდობას და ართულებს აზრის შეცვლილ შესაძლებლობას („შეცვლისადმი რეზისტენტობა“)⁵.

განხილული ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური „ფილტრები“ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმაში, თუ ვინ რას იზიარებს, რას ენდობა და როგორ იღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის მიმღები. ასეთ პირობებში მედიანიგნიერება - ანუ წყაროს სანდოობის გადამონმება, სხვადასხვა წყაროს

1 Wardle, C., & Derakhshan, H. (2017, September 27). *Information Disorder: Toward an interdisciplinary framework for research and policy making* (Council of Europe). <https://rm.coe.int/information-disorder-toward-an-interdisciplinary-framework-for-research-168076277c>

2 Szebeni, Z., Lönnqvist, J.-E., & Jasinskaja-Lahti, I. (2021). *Social psychological predictors of belief in fake news in the run-up to the 2019 Hungarian elections: The importance of conspiracy mentality supports the notion of ideological symmetry in fake news belief*. *Frontiers in Psychology*, 12, Article 790848. <https://doi.org/10.3389/fpsyg.2021.790848>

3 Taber, C. S., & Lodge, M. (2006). *Motivated skepticism in the evaluation of political beliefs*. *American Journal of Political Science*, 50(3), 755–769. Retrieved from <http://www.jstor.org/stable/3694247>

4 Guess, A., Nyhan, B., & Reifler, J. (2018, January 9). *Selective exposure to misinformation: Evidence from the consumption of fake news during the 2016 U.S. presidential campaign* (Working Paper). Retrieved from <https://about.fb.com/wp-content/uploads/2018/01/fake-news-2016.pdf>

5 Uscinski, J. E. (2020). *Why do people believe COVID-19 conspiracy theories?* *Misinformation Review*. Retrieved from <https://misinforeview.hks.harvard.edu/article/why-do-people-believe-covid-19-conspiracy-theories/>

შედარება და მტკიცებულებების ხარისხის შეფასება - დებინფორმაციისადმი მედეგობის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, რომ ემპირიული კვლევების შედეგად შეფასდეს, როგორ აღიქვამენ ქართულ საინფორმაციო სივრცეს საქართველოს მოქალაქეები და როგორია მათი ინფორმაციის მოძიების, შეფასებისა და გადამონმების უნარები. კვლევის შედეგები შესაძლებლობას მისცემს დემოკრატიულ აქტორებს, სწორად და ეფექტურად უპასუხონ ქართულ ინფორმაციულ ეკოსისტემაში არსებულ გამოწვევებს და მოქალაქეების რეალურ საჭიროებებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის ფარგლებში დებინფორმაციის მიმართ მონწყვლადობაზე გავლენის მქონე პოტენციურ ფაქტორებად გამოიკვეთა: პარტიული მიკუთვნებულობა, პოლიტიკური პოლარიზაცია და კონსპირაციული აზროვნება.

პარტიული მიკუთვნებულობა

პოლიტიკის მეცნიერებაში პარტიული მიკუთვნებულობა ნიშნავს ინდივიდის მყარ ემოციურ კავშირს პოლიტიკურ პარტიასთან.⁶ იგი განიხილება, როგორც სოციალური იდენტობის ერთ-ერთი ფორმა. ეს კი გულისხმობს, რომ პარტიული მიკუთვნებულობა სტაბილური და ემოციურად განპირობებული ერთგულებაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები პოლიტიკურ რეალობას.

პარტიული მიკუთვნებულობა ხშირად ამომრჩევლის ქცევისა და მოქმედების ამხსნელი მთავარი მექანიზმია.⁷ კონკრეტულ პარტიასთან მიკუთვნებულობის განცდა მოქალაქეებს ანიჭებთ ძლიერ მოტივაციას, რომ ინფორმაცია საკუთარი პოლიტიკური პრეფერენციების შესაბამისად აღიქვან. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ინტერპრეტაცია ხშირად საკუთარი პარტიის სასარგებლოდ მიკერძოებული აღმოჩნდეს. ამ ფენომენს ხშირად „მოტივირებულ გააზრებას“ უწოდებენ.⁸ მოტივირებული გააზრება ნიშნავს სააზროვნო პროცესს, რომლის დროსაც ინდივიდები შერჩევითად ეძებენ, აანალიზებენ და იმახსოვრებენ ინფორმაციას ისე, რომ ის შესაბამისობაში იყოს მათ წინასწარ არსებულ რწმენებსა და იდენტობასთან. აქედან გამომდინარე, ძლიერი პარტიული კუთვნილების მქონე ინდივიდები უფრო ადვილად იღებენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება მათ პარტიულ რწმენებსა და დამოკიდებულებებს და უარყოფენ ან აკნინებენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის მათთან, ზოგჯერ მაშინაც კი, თუ ეს ფაქტობრივად სწორია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პარტიული იდენტობა და მოტივირებული გააზრება მნიშვნელოვნად ზრდის ინდივიდების მონწყვლადობას დებინფორმაციის მიმართ. კვლევები აჩვენებს, რომ ძლიერი პარტიული იდენტობის მქონე პირები უფრო მიდრეკილნი არიან, დაიჯერონ ყალბი ან შეცდომაში შემყვანი მტკიცებები, თუკი ეს მტკიცებები მათ პოლიტიკურ ღირებულებებთან თანხვედრაში მოდის

6 Campbell, Angus, et al. *The American Voter*. Press.uchicago.edu, 1960.

7 Green, Donald, et al. *Partisan Hearts and Minds: Political Parties and the Social Identities of Voters*. JSTOR, Yale University Press, 2002.

8 Taber, Charles S., and Milton Lodge. "Motivated Skepticism in the Evaluation of Political Beliefs." *American Journal of Political Science*, vol. 50, no. 3, July 2006, pp. 755-769.

და უარყოფს ის ინფორმაცია, რომელიც მათ ჯგუფურ იდენტობას საფრთხეს უქმნის. ზოგიერთი ექსპერიმენტული კვლევა აჩვენებს, რომ მაშინაც კი, როდესაც ადამიანებს მიწოდებათ შესწორებული ინფორმაცია, პარტიული იდენტობის მატარებელი პირები ხშირად არ იცვლიან თავიანთ შეხედულებებს და ზოგ შემთხვევაში მცდარ ინფორმაციას კიდევ უფრო მტკიცედ ემხრობიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ გამოსწორებას ოპონენტი ცდილობს.⁹ შესაბამისად, პარტიულად ანგაჟირებული პირები დებინფორმაციის მიმართ გაცილებით უფრო მონყვლადები არიან, რადგან ინფორმაციის მიმღებლობა მათთვის დამოკიდებულია არა მის სისწორეზე, არამედ პოლიტიკურ იდენტობასთან შესაბამისობაზე.¹⁰

პოლიტიკური პოლარიზაცია და დებინფორმაცია

პოლიტიკური პოლარიზაცია განსაკუთრებით ხშირად არის დაკავშირებული დებინფორმაციასა და ინფორმაციის მიმართ მიკერძოებულობასთან. არსებობს პოლიტიკური პოლარიზაციის ორი ტიპი: იდეოლოგიური და აფექტური. იდეოლოგიური პოლარიზაცია გულისხმობს პოლიტიკურ აქტორებს შორის მზარდ დისტანციას პოლიტიკურ შეხედულებებსა და ფუნდამენტურ ღირებულებებთან დაკავშირებით.¹¹ აფექტური პოლარიზაცია კი ასახავს პოლიტიკურ აქტორებს შორის ემოციურ და სოციალურ დისტანციას. ის არ ეხება მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებს, არამედ ყურადღებას ასევე ამახვილებს იმაზე, რამდენად უარყოფითად და უნდობლობით არიან განწყობილნი პარტიები და მათი მხარდამჭერები სხვა პარტიებისა და მათი მხარდამჭერების მიმართ.¹²

პოლიტიკის მეცნიერებასა და კომუნიკაციის კვლევებში მზარდია მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ძლიერ კავშირზე პოლიტიკურ პოლარიზაციასა და დებინფორმაციისადმი მონყვლადობას შორის. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ პოლარიზაცია ამძაფრებს მოტივირებულ გააზრებას.¹³ კერძოდ, მოქალაქეები უფრო მეტად იჯერებენ ყალბ ამბებს, რომლებიც მათ მონინაალმდევე პარტიას ზიანს აყენებს.¹⁴ კვლევები ასევე აჩვენებს, რომ პოლარიზებული პირები ინფორმაციის სანდობას უფრო მეტად წყაროს პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით აფასებენ, ვიდრე მისი შინაარსის სიზუსტის საფუძველზე. ეს მიანიშნებს, რომ აფექტური პოლარიზაცია, რომელსაც სხვა პარტიისადმი უნდობლობა და ანტაგონიზმი ახლავს თან, ხელს უწყობს პარტიულად მორგებული დებინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას. გარდა ამისა, პოლარიზაცია ხელს უწყობს ისეთი ნეიტრალური ინსტიტუტების ავტორიტეტის შესუსტებას, როგორცაა ტრადიციული მედია და ფაქტების გადამოწმებაზე მომუშავე ორგანიზაციები.¹⁵ ეს კიდევ უფრო ამარტივებს დებინფორმაციის გავრცელებას. ამ მიგნებების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაც უფრო

9 Nyhan, Brendan, and Jason Reifler. "When Corrections Fail: The Persistence of Political Misperceptions." *Political Behavior*, vol. 32, no. 2, 30 Mar. 2010, pp. 303–330, <https://doi.org/10.1007/s11109-010-9112-2>.

10 Weismueller, Jason, et al. "Information Sharing and Political Polarisation on Social Media: The Role of Falsehood and Partisanship." *Causes, Symptoms and Consequences of Social Media Induced Polarization*, vol. 34, no. 3, 21, 2023.

11 Schedler, Andreas. "Rethinking Political Polarization." *Political Science Quarterly*, vol. 138, no. 3, 1 Jan. 2023, pp. 335–359.

12 Druckman, James N, and Matthew S Levendusky. "What Do We Measure When We Measure Affective Polarization?" *Public Opinion Quarterly*, vol. 83, no. 1, 2019, pp. 114–122.

13 Flynn, D. J., Nyhan, B., & Reifler, J. The Nature and Origins of Misperceptions: Understanding False and Unsupported Beliefs About Politics. *Political Psychology*, 2017, 38(S1), 127–150.

14 Abramowitz & McCoy, 2019.

15 Lazer, D. M. J., Baum, M. A., Grinberg, N., Friedland, L., Joseph, K., & Hobbs, W. R. The Science of Fake News. *Science*, 2018, 359(6380), 1094–1096.

მაღალია პოლიტიკური პოლარიზაციის ხარისხი საზოგადოებაში, მით უფრო ნაყოფიერია გარემო დემინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის.

კონსპირაციული აზროვნება და დემინფორმაცია

დემინფორმაციისადმი მონყვლადობის განმაპირობებელი ერთ-ერთ პოტენციური ფაქტორია კონსპირაციული აზროვნება. კონსპირაციული აზროვნება ნიშნავს რწმენას, რომ მსოფლიოში ფარულად მოქმედებს გავლენიანი ჯგუფი, რომელიც ცდილობს, მიაღწიოს გარკვეულ დამაზიანებელ ან საიდუმლო მიზნებს.¹⁶ კონსპირაციული თეორიების ძირითადი მახასიათებლებია: რწმენა ფარული მოტივების და მოქმედებების არსებობისა, რომელთაც გავლენიანი ჯგუფები ახორციელებენ და განცდა, რომ საფრთხე ემუქრება საზოგადოებრივ ღირებულებებს, რის შედეგადაც აღნიშნული ჯგუფები აღიქმებიან, როგორც ეგზისტენციური მტრები.¹⁷ კონსპირაციული თეორიები ძირითადად ეფუძნება არასაკმარის ან დაუსაბუთებელ მტკიცებულებებს, რომლებიც მაინც აღიქმება დამაჯერებლად, მიუხედავად იმისა, რომ მათი გადამოწმება ხშირად შეუძლებელია. საერთო ჯამში, კონსპირაციული თეორიები უარყოფს მტკიცებულებების გადამოწმების ტრადიციულ სტანდარტებს, მოვლენებს აღიქვამს, როგორც განზრახ დაგეგმილს და პასუხისმგებლობას აკისრებს გავლენიან ჯგუფებს, რომლებიც თითქოს საიდუმლოდ მოქმედებენ საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ.¹⁸

კონსპირაციული თეორიების მახასიათებლებს აკმაყოფილებს „ქართული ოცნების“ მიერ განვითარებული „გლობალური ომის პარტიის“ თეორია. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მტკიცებების მიხედვით, „გლობალური ომის პარტია“ არის ძლევამოსილი ფარული ძალა, რომელიც აკონტროლებს დასავლურ მთავრობებს, პასუხისმგებელია უკრაინაში ომის დაწყებაზე და ცდილობს საქართველოს რუსეთთან ომში ჩართვას.¹⁹

აკადემიური კვლევები აჩვენებს, რომ კონსპირაციული აზროვნება მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ზრდის ინდივიდის მონყვლადობას დემინფორმაციისა და ყალბი ამბების მიმართ. პირები, რომლებიც იზიარებენ კონსპირაციულ თეორიებს, არ ენდობიან ტრადიციულ საინფორმაციო საშუალებებსაც, რის გამოც მეტად ეყრდნობიან ალტერნატიულ, ხშირად საეჭვო წყაროებს.²⁰ ეს უნდობლობა ამარტივებს ყალბი ამბების კრიტიკული განსჯის გარეშე მიღების რისკებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი უკვე არსებულ ეჭვებს ეხმიანება და კონსპირაციულ მსოფლმხედველობას. გარდა ამისა, ამა თუ იმ კონსპირაციული თეორიის რწმენა მიუთითებს ე.წ. კონსპირაციული მსოფლმხედველობის არსებობაზე, რაც ზრდის ასეთი ადამიანების მიმღებლობას სხვა კონსპირაციული თეორიების მიმართაც.²¹ ამდენად, კონსპირაციული აზროვნება ქმნის ნოყიერ ნიადაგს იდეოლოგიურად მოტივირებული, მაგრამ არასანდო ინფორმაციის დასაჯერებლად.

16 Hofstadter, Richard. "The Paranoid Style in American Politics." Harper's Magazine, 1964.

17 იქვე.

18 Douglas, Karen M., and Robbie M. Sutton. "Why Conspiracy Theories Matter: A Social Psychological Analysis." European Review of Social Psychology, 2018, 266.

19 Civil.ge. "Ivanishvili Denies Targeting U.S., Repeats "Global War Party" Conspiracy, Warns of 'Reputational Damage.'" 2024, <https://civil.ge/archives/626799>.

20 Imhoff, R., & Lamberty, P. A Bioweapon or a Hoax? The Link between Distinct Conspiracy Beliefs about the Coronavirus Disease (COVID-19) Outbreak and Pandemic Behavior. Social Psychological and Personality Science, 2020, 11(8), 1110-1118.

21 Swami, V., et al. A. Analytic Thinking Reduces Belief in Conspiracy Theories. Cognition, 2014, 133(3), 572-585.

მეთოდოლოგია

მონაცემთა შეგროვების მეთოდი

კვლევის მიზანია შეისწავლის დემინფორმაციისადმი მონყვლადობის ფაქტორები, მედიანგინიერებისა და ფაქტების გადამონმების პრაქტიკა საქართველოს სრულწლოვან მოსახლეობაში. ამ მიზნით CRRC საქართველომ 2025 წლის თებერვალსა და დეკემბერში ჩაატარა ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვა და ივნისში-რეგიონების მოსახლეობის (აჭარის რეგიონი, ეთნიკური სომხებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებული რეგიონები) პირისპირი გამოკითხვა. სატელეფონო გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტები შეირჩა მარტივი ალბათური დიზაინის გამოყენებით, ნომრების შემთხვევითი გენერირების გზით, ხოლო პირისპირი გამოკითხვისათვის გამოვიყენეთ მრავალსაფეხურიანი სტრატეფიცირებული კლასტერული შერჩევა. ქართულენოვანი სატელეფონო გამოკითხვის პირველ ტალღაში გამოიკითხა - 2311, ხოლო მეორე ტალღაში - 2240 რესპონდენტი. კვლევის შედეგების ანალიზი შეწონილ მონაცემებს ეფუძნება და მისი განზოგადება შესაძლებელია ქართულენოვან პოპულაციაზე. რეგიონების მოსახლეობის პირისპირი გამოკითხვის ფარგლებში კი გამოიკითხა 879 რესპონდენტი, მათ შორის 220 რესპონდენტი აჭარის რეგიონიდან, 332- ეთნიკურად სომეხი და 327-ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქე. პირისპირი გამოკითხვის მონაცემები შეწონილია და მისი განზოგადება შესაძლებელია აჭარის რეგიონის მოსახლეობაზე, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონიდან კი, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაზე.

მონაცემთა ანალიზის მეთოდი

მონაცემები გაანალიზდა აღწერითი და დასკვნის სტატისტიკის გამოყენებით. აღწერითი სტატისტიკა მოიცავს მარტივ სიხშირებს. დასკვნითი სტატისტიკა კი გამოვიყენეთ იმის შესამოწმებლად, რა ფაქტორები ახდენს გავლენას დემინფორმაციისადმი მონყვლადობაზე. კვლევაში დემინფორმაციისადმი მონყვლადობა შეფასებულია ოთხი ინდიკატორით:

1. გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირე,
2. საეჭვო ამბის გადამონმების სიხშირე,
3. პოლიტიკური ინფორმირებულობა,
4. პრო და ანტიდასავლურ ნარატივებში დარწმუნებულობის ხარისხი.

პოლიტიკური ინფორმირებულობა, ქართულენოვან რესპონდენტებთან გაიზომა ოთხი კითხვით, რომელთაგან ორი კითხვა მოიცავს ხელისუფლების მხარდამჭერი და მისი საწინააღმდეგო შინაარსის მქონე ფაქტობრივად სწორ ინფორმაციას. ანალოგიურად, დანარჩენი ორი დებულება მოიცავს ხელისუფლების მხარდამჭერი და მისი საწინააღმდეგო შინაარსის მქონე ფაქტობრივად არასწორ ინფორმაციას.

სწორია (ხელისუფლების მხარდამჭერი)	2024 წელს საქართველოში საგარეო ვაჭრობა წინა წელთან შედარებით 8%-ით გაიზარდა.
სწორია (ხელისუფლების საწინააღმდეგო)	2024 წელს ევროკავშირმა საქართველოს 121 მილიონი ევროს ოდენობის დახმარება შეუჩერა.
მცდარია (ხელისუფლების მხარდამჭერი)	ევროკავშირში განევრინების შემთხვევაში საქართველო ვალდებული იქნება, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონოს.

მცდარია (ხელისუფლების საწინააღმდეგო)	2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ევროკავშირმა საქართველოს კანდიდატის სტატუსი ჩამოართვა.
---	---

სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან რესპონდენტებთან, ძირითად დებულებებთან ერთად, გამოყენებულ იქნა ორი საკონტროლო დებულება — ერთი მცდარი და ერთი ფაქტობრივად სწორი. ეს დებულებები ეფუძნებოდა არა ქართულ, არამედ შესაბამისი ეთნიკური ჯგუფების — სომხური და აზერბაიჯანული — სოციალური და პოლიტიკური კონტექსტისათვის დამახასიათებელ ნარატივებს და უკავშირდებოდა ამ ჯგუფებში სომხური და აზერბაიჯანული ტელეარხების მოხმარების სიხშირეს. საკონტროლო დებულებების დანიშნულება იყო იმ განსხვავების იდენტიფიცირება, რაც ვლინდება კონკრეტული მედიის მოხმარებაზე დაფუძნებულ სოციოპოლიტიკურ ინფორმირებულობასა და ინფორმაციის სწორი ამოცნობის უნარს შორის.

საკონტროლო დებულება (Az- სწორი)	აზერბაიჯანის ხელისუფლებამ გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს ქვეყნის დატოვება აიძულა
საკონტროლო დებულება (Az- არასწორი)	აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი დაესწრო რუსეთის ფედერაციის მიერ გამართულ გამარჯვების აღლუმს 9 მაისს მოსკოვში
საკონტროლო დებულება (Arm- არასწორი)	ევროკავშირის ოფიციალური პირები უვიზო მიმოსვლის სანაცვლოდ, სომხეთის რუსეთ-უკრაინის ომში ჩართვას ცდილობენ
საკონტროლო დებულება (Arm- სწორი)	სომხეთის პრემიერ მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი დაესწრო რუსეთის ფედერაციის მიერ გამართულ გამარჯვების აღლუმს 9 მაისს მოსკოვში

საერთო ჯამში, თითოეულ დებულებაზე გაცემული პასუხების დაჯამებით შეიქმნა ინდექსი, რომელიც რესპონდენტის მიერ სწორად გაცემული პასუხების რაოდენობას წარმოადგენს (ქართულენოვანი რესპონდენტების შემთხვევაში, მინიმალური მნიშვნელობით 0 და მაქსიმალური მნიშვნელობით - 4, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ რესპონდენტებში მინიმალური მნიშვნელობით 0 და მაქსიმალური მნიშვნელობით-6). მედიანურ მაჩვენებელთან მიმართებით, ინდექსი კოდირებულია ორ დონიან სკალაზე, სადაც 0 ნიშნავს ინფორმაციის სწორად ამოცნობის დაბალ უნარს, ხოლო 1- ინფორმაციის სწორად ამოცნობის მაღალ უნარს.

პრო- და ანტიდასავლური ნარატივების მიმართ დარწმუნებულობის ხარისხის შეფასების მიზნით, სოციალური მედიის მონიტორინგის საფუძველზე გამოიკვეთა ექვსი ყველაზე გავრცელებული ნარატივი. მათგან სამი დასავლეთის ქვეყნებს, საქართველოსთან ურთიერთობის კონტექსტში, პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩინეს, ხოლო სამი - ნეგატიურ ჭრილში. რესპონდენტები პასუხობდნენ კითხვას, სჯეროდათ თუ არა, რომ მოცემული ნარატივი რეალობას შეესაბამებოდა. თითოეულ დებულებაზე გაცემული პასუხების დაჯამების საფუძველზე შეიქმნა პრო- და ანტიდასავლურ ნარატივებში დარწმუნებულობის ინდექსი. ინდექსის მინიმალური მნიშვნელობაა 0 (რესპონდენტს არ სჯერა არც ერთი ნარატივის), ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა - 3 (რესპონდენტს სჯერა ყველა ნარატივის სინამდვილის).

1 ANTI - EU	ევროკავშირის საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა აქვს განზრახული
2 ANTI - EU	ევროკავშირი საქართველოს თავს ახვევს ლგბტ პროპაგანდას
3 ANTI - EU	ევროკავშირი უპირისპირდება ქართულ ტრადიციულ ფასეულობებს და ეკლესიას
4 PRO-EU	რადგან ევროკავშირში კორუფცია თითქმის არ არსებობს, ევროკავშირში განწვერიანების შემთხვევაში, კორუფცია საქართველოშიც აღმოიფხვრება.

5	PRO-EU	ევროკავშირში განვერიანების შემთხვევაში საქართველოში ხელფასები მყისიერად გაუთანაბრდება ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში არსებულ ხელფასებს.
6	PRO-EU	ევროკავშირში განვერიანება ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებას.

დემინფორმაციის მიმართ მონყვლადობის თვალსაზრისით ჰგუფთა შორის განსხვავების გამოვლენისთვის გამოვიყენეთ ბინარული ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი. ამხსნელი ცვლადებისგან შედგენილი რეგრესიული მოდელი მოიცავს დემოგრაფიულ ცვლადებს, როგორცაა:

- სქესი (კაცი ან ქალი);
- ასაკი (18-34, 35-54, 55+);
- დასახლების ტიპი (თბილისი, სხვა ქალაქი ან სოფელი);
- განათლება (საშუალო ან მასზე დაბალი, ტექნიკური, უმაღლესი);
- დასაქმების სტატუსი (საჯარო სექტორში დასაქმებული, კერძო სექტორში დასაქმებული, თვითდასაქმებული, უმუშევარი, ისინი, ვინც არ მიეკუთვნებიან სამუშაო ძალას));
- ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი (2000 ლარზე ნაკლები, 2000 ლარი და მეტი);
- რელიგიურ რიტუალებზე დასწრების სიხშირე (კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ, მხოლოდ განსაკუთრებულ ღონისძიებებზე, უფრო იშვიათად, არასოდეს).

დამატებით ამხსნელ ცვლადებს წარმოადგენს კონსპირაციული აზროვნება, რწმენა „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის შესახებ, პოლიტიკური პოლარიზაცია და პარტიული მიკუთვნებულობა.

- კონსპირაციული აზროვნებისადმი მიდრეკილება შევადფასეთ 4 დებულებით²², რომელიც აღწერს გავრცელებულ კონსპირაციებს, როგორცაა, მაგალითად, „საიდუმლო სამსახურებს უცხოპლანეტელებთან კავშირი აქვთ, თუმცა, ამას საზოგადოებას უმაღავენ“. რესპონდენტები თითოეულ დებულებაზე დათანხმების ხარისხს აფიქსირებდნენ 5-ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ არის სიმართლე“, ხოლო 5 - „სრულიად სიმართლე“. თითოეულ დებულებაზე გაცემული პასუხების დაჯამებით შეიქმნა ინდექსი, რომელიც წარმოადგენს კონსპირაციული აზროვნებისადმი მონყვლადობას (მინიმალური მნიშვნელობით 0 და მაქსიმალური მნიშვნელობით 20). მედიანურ მაჩვენებელთან მიმართებით, ინდექსი კოდირებულია ორ დონიან სკალაზე, სადაც 0 ნიშნავს კონსპირაციული აზროვნებისადმი ნაკლებ მონყვლადობას (გაერთიანებულია მაჩვენებლები 0-დან 7 ქულის ჩათვლით), ხოლო 1 - მეტ მონყვლადობას (გაერთიანებულია მაჩვენებლები 8-დან 20 ქულის ჩათვლით).
- კონსპირაციული აზროვნების შეფასებისათვის, ინდექსთან ერთად, გამოვიყენეთ შეკითხვა გლობალური ომის პარტიის შესახებ („გჯერათ თუ არა, რომ არსებობს „გლობალური ომის პარტია“, რომელიც მსოფლიოში მნიშვნელოვან პროცესებს მართავს?“). რწმენა „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის შესახებ არ არის გაერთიანებული კონსპირაციული აზროვნებისადმი მონყვლადობის ინდექსში, თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, მისი გამოყენების კონტექსტის გათვალისწინებით.

22 Open Psychometrics. (n.d.). *Generic Conspiracist Beliefs Scale (GCBS)*. <https://openpsychometrics.org/tests/GCBS/>

- პოლიტიკური პოლარიზაცია შევადგასეთ 6 დებულებით, რომელთაგან ორი დებულება, 5-ბალიან სკალაზე, აფასებს დამოკიდებულებას „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციის მხარდამჭერების მიმართ; ორი დებულება 4-ბალიან სკალაზე აფასებს „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციის მიერ ქვეყნისთვის საჭირო საქმიანობის განხორციელებას; ხოლო ბოლო ორი დებულება ასევე 4-ბალიან სკალაზე აფასებს „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციის მხარდამჭერ მეგობართან კომუნიკაციისას კომფორტულობის განცდას. თითოეულ დებულებაზე გაცემული პასუხების დაჯამებით შეიქმნა ინდექსი, რომელიც წარმოადგენს პოლარიზაციის ხარისხს (მინიმალური მნიშვნელობით 0 - არ არის პოლარიზებული და მაქსიმალური მნიშვნელობით 6 - ძალიან პოლარიზებულია). ინდექსი კოდირებულია ორდონიან სკალაზე, სადაც 0 ნიშნავს არაპოლარიზებულობას, ხოლო 1 - პოლარიზებულობას გარკვეული ხარისხით.


პარტიული მიკუთვნებულობა შევადგასეთ ღია შეკითხვით: „საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი მათგანი დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?“. რესპონდენტის მიერ დასახელებული პოლიტიკური პარტიები, ანალიზის მიზნებისთვის, დაჯგუფდა სამ კატეგორიად: 1. „ქართული ოცნება“, 2. სხვა პარტია, 3. არცერთი პარტია (აერთიანებს პასუხებს „არცერთი“, „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“).

შედეგები

მედიანიგნიერების უნარები

კვლევაში მედიანიგნიერების უნარები შეფასებულია იმის მიხედვით, თუ რამდენად ხშირად უნდებოდა ადამიანს ეჭვი გავრცელებული ინფორმაციის სანდოობაში, რამდენად ხშირად ამოწმებს მას და როგორია მისი პოლიტიკური ინფორმირებულობის დონე, კერძოდ, როგორ ახერხებს ფაქტობრივად მცდარი/არასწორი და სწორი ინფორმაციის ერთმანეთისაგან გამორჩევას.





გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გავრცელებული ინფორმაციის სანდოობაში ეჭვი ყველაზე იშვიათად გასჩენიათ აზერბაიჯანულენოვან მოქალაქეებს; შემდგომ, აჭარის რეგიონის მოსახლეობას; სომხურენოვან მოქალაქეებს და ყველაზე ხშირად, ქართულენოვან მოსახლეობას, სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით. დაახლოებით, იგივე ტენდენცია ვლინდება ინფორმაციის გადამოწმების სიხშირესთან მიმართებით, იმ განსხვავებით, რომ ინფორმაციას ყველაზე ხშირად ამოწმებენ არა ქართულენოვანი სატელეფონო გამოკითხვის მონაწილეები, არამედ სომხურენოვანი მოქალაქეები, პირისპირ გამოკითხვის მიხედვით. ქართულენოვანი მოსახლეობის განმეორებით გამოკითხვაში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი ცვლილება, როგორც ინფორმაციაში ეჭვის შეტანის, ისე მისი გადამოწმების მაჩვენებლების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ყველა ჯგუფში ინფორმაციას ამოწმებს მოქალაქეების ნახევარზე მნიშვნელოვნად მცირე ნაწილი. მოცემული ორი ინდიკატორის მიხედვით, მედიანიგნიერების უნარები ყველაზე სუსტად განვითარებულად გამოიყურება აზერბაიჯანულენოვან მოქალაქეებში.



დიაგრამა 1: რამდენად ხშირად გაცხენიათ ეჭვი, რომ ახალი ამბავი, რომელსაც ეცნობით, მცდარია/არასწორია? (%) რამდენად ხშირად გადაგიმონებიათ მცდარი/არასწორი ახალი ამბების სიზუსტე? (%)

რაც შეეხება პოლიტიკურ ინფორმირებულობას, ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ რესპონდენტები შედარებით უფრო ხშირად ამოიციან მცდარ ინფორმაციას, ვიდრე სწორს. აღსანიშნავია, რომ სწორი დებულებების შემთხვევაში რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ირჩევდა პასუხისგან თავის არიდებას (პასუხი „არ ვიცი“ ან უარი პასუხზე), რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სწორი ინფორმაციის ამოცნობასთან დაკავშირებით არსებობს ზოგადი გაურკვევლობა ან სიფრთხილე. ამასთან, მცდარი/არასწორი დებულებების შეფასებისას რესპონდენტები, როგორც ჩანს, მეტ თავდაჯერებულობას ავლენენ. სწორი და არასწორი პასუხის ამოცნობაზე, სავარაუდოდ, ზემოქმედებს ინფორმაციის ფორმულირების ასპექტიც. კერძოდ, ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვის მეორე ტალაში პირველი და მეორე დებულებები გამარტივდა, რის ფარგლებშიც ამოღებულ იქნა ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვისა და შეჩერებული დახმარების მოცულობაზე მიმანიშნებელი პროცენტული მაჩვენებლები. აღნიშნული ცვლილების ფონზე, გაიზარდა სწორი პასუხების წილი. მეოთხე დებულება უცვლელი დარჩა და, შესაბამისად, სწორი და არასწორი პასუხების განაწილება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. რაც შეეხება მესამე დებულებას, იგი ამოღებულ იქნა პოლიტიკური ინფორმირებულობის ინდექსიდან, ვინაიდან აღნიშნული დებულება ინფორმირებულობაზე მეტად კონკრეტული ნარატივის მიმართ დამოკიდებულებასა და მასში დარწმუნებულობას აფასებდა.

სწორი ინფორმაციის ამოცნობასთან დაკავშირებული ზოგადი გაურკვევლობის ტენდენცია, მეტ-ნაკლებად, შენარჩუნებულია აჭარის რეგიონის და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის პირისპირ გამოკითხვაშიც. სომხურენოვანი მოსახლეობის შემთხვევაში კი საპირისპირო ტენდენცია ვლინდება, კერძოდ, მცდარი დებულებების ამოცნობის სიხშირე, სწორი დებულებების ამოცნობის სიხშირეზე მაღალია. აღსანიშნავია, სომხურენოვან მოსახლეობაში, აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობასთან შედარებით, ნაკლებია პასუხზე უარის თქმის ან „არ ვიცი“ ვარიანტის არჩევის მაჩვენებელი. სომხურენოვან მოსახლეობაში თითქმის მსგავსია ქართულ და სომხურ სოციო-პოლიტიკურ კონტექსტთან დაკავშირებული დებულებების სწორად ან არასწორად ამოცნობის პატერნი, ხოლო აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში ქართულ კონტექსტთან დაკავშირებული მოვლენების სწორად ამოცნობის მაჩვენებელი აღემატება საკონტროლო დებულებების სწორად ამოცნობის მაჩვენებელს, რაც შესაძლოა მიუთითებდეს ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის განსხვავებულ დონეზე ან მედიის მოხმარების სპეციფიკურობაზე.




დიაგრამა 2: სიმართლეა თუ არ არის სიმართლე მოცემული დებულება? (%)

ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვის მეორე ტალღაში, პოლიტიკური ინფორმირებულობის შეფასებასთან ერთად, შევისწავლეთ გავრცელებულ პროდასავლურ და ანტიდასავლურ ნარატივებში დარწმუნებულობის ხარისხი. რესპონდენტებს შევთავაზეთ სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული სამი პროდასავლური და სამი ანტიდასავლური ნარატივი.

შეთავაზებულ ნარატივებს შორის, რესპონდენტებში ყველაზე მაღალი დარწმუნებულობა გამოვლინდა ანტიდასავლური ნარატივის მიმართ, რომლის მიხედვითაც „ევროკავშირი საქართველოს თავს ახვევს ლგბტ პროპაგანდას“ (41%), ხოლო ყველაზე დაბალი - ასევე ანტიდასავლური ნარატივის მიმართ, რომლის თანახმადაც „ევროკავშირის საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა აქვს განზრახული“ (23%).

პროდასავლურ ნარატივებში დარწმუნებულობის დონე, საშუალოდ, ჩამორჩება ანტიდასავლურ ნარატივებში გამოვლენილ მაჩვენებლებს; თუმცა მათ შორის შედარებით მაღალი მხარდაჭერა აქვს მოსაზრებას, რომ „ევროკავშირში განწვრიანება ნიშნავს საქართველოში ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებას“ (32%).



დიაგრამა 3: რამდენად შეესაბამება ან არ შეესაბამება სიმართლეს მოცემული დებულებები? (%)

დემინფორმაციისადმი მონყვლადობის პოტენციური ფაქტორები

კვლევაში დემინფორმაციისადმი მონყვლადობა შეფასებულია მედიანგნიერების ოთხი ინდიკატორით: 1. გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირე, 2. საეჭვო ამბის გადამონმების სიხშირე, 3. პოლიტიკური ინფორმირებულობა, 4. პროდასავლური და ანტიდასავლური ნარატივების მიმართ რწმენის ხარისხი.


დემინფორმაციის მიმართ მონყვლადობის თვალსაზრისით, ჯგუფთა შორის განსხვავების გამოვლენისთვის გამოვიყენეთ ბინარული ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი. ამხსნელი ცვლადებისგან შედგენილი რეგრესიული მოდელი მოიცავს ისეთ დემოგრაფიულ ცვლადებს, როგორცაა: რესპონდენტის სქესი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილის ტიპი, განათლების დონე, დასაქმების სტატუსი, ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი და რელიგიურ პრაქტიკაში ჩართულობის სიხშირე. დამატებით ამხსნელ ცვლადებს წარმოადგენს კონსპირაციული აზროვნება, „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის რწმენა, პოლიტიკური პოლარიზაცია და პარტიული მიკუთვნებულობა.

დემოგრაფიული პროფილი

დემინფორმაციისადმი მონყვლადობის დემოგრაფიული პროფილის შეფასების მიზნით, სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთს შევადარეთ გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანისა და ინფორმაციის გადამონმების სიხშირის, ასევე ინფორმაციის სწორად ამოცნობის უნარის მიხედვით.

ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვაში, გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირე განსხვავებულია დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დასახლების ტიპი და ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი კავშირშია ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირესთან. დედაქალაქის მაცხოვრებლებს უფრო მაღალი ალბათობით შეაქვთ ეჭვი გავრცელებული ინფორმაციის სისწორეში, ვიდრე სხვა ქალაქების მოსახლეობასა და სოფლად მცხოვრებ ადამიანებს. ასევე მათ, ვისი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 2000 ლარი ან მეტია, უფრო მაღალი ალბათობით შეაქვთ ეჭვი ინფორმაციის

სისწორეში, ვიდრე შედარებით დაბალი საშუალო თვიური შემოსავლის მქონე ოჯახის წარმომადგენლებს.




დიაგრამა 4: დემოგრაფიული ცვლადები და გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირე

ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირის მიხედვით, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აჭარის მაცხოვრებლები, სომხური და აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებიც, კერძოდ, ეთნიკურად სომეხ მოქალაქეებს(41%) უფრო მაღალი ალბათობით შეაქვთ ეჭვი ინფორმაციის სანდოობაში, ვიდრე აჭარის რეგიონის მაცხოვრებლებსა(29%) და ეთნიკურად აზერბაიჯანულ მოქალაქეებს(6%). უმცირესობების პირისპირ გამოკითხვაში, ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირე, ასევე, დაკავშირებულია დასაქმების ტიპთან, კერძოდ, თვითდასაქმებულებსა(39%) და კერძო სექტორში დასაქმებულებს(38%) უფრო მაღალი ალბათობით შეაქვთ ეჭვი ინფორმაციის სისწორეში, ვიდრე უმუშევარ(33%), შრომის უნარის არმქონე(19%) და საჯარო სექტორში დასაქმებულ მოქალაქეებს(17%).

მოცემულ კვლევაში დებინფორმაციისადმი მონყვლადობის მეორე ინდიკატორია საეჭვო ამბების გადამონმების სიხშირე, რომელიც ასევე განსხვავებულია დემოგრაფიულ ჯგუფებში. ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვაში, ასაკი, დასახლების ტიპი, განათლების დონე და ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი სტატისტიკურად სანდოდ უკავშირდება ინფორმაციის გადამონმების პრაქტიკას. კერძოდ, ახალგაზრდები უფრო მაღალი ალბათობით ამონმებენ ინფორმაციას, ვიდრე შუა ხნის და უფროსი ასაკის ადამიანები. დედაქალაქის მაცხოვრებლები უფრო მაღალი ალბათობით ამონმებენ ინფორმაციის, ვიდრე სხვა ქალაქებისა და სოფლის ტიპის დასახლების მაცხოვრებლები.

განათლების დონის მიხედვით, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები 9% პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით ამონმებენ ინფორმაციას, ვიდრე საშუალო ან მასზე დაბალი განათლების დონის მქონე პირები. ტექნიკური და საშუალო ან მასზე დაბალი განათლების დონის მქონე პირები კი ერთმანეთისაგან სტატისტიკურად სანდოდ არ განსხვავდებიან ახალი ამბების გადამონმების ალბათობის მიხედვით. რაც შეეხება საშუალო თვიურ შემოსავალს, შედარებით მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანები 11% პუნქტით უფრო მეტი ალბათობით ამონმებენ ინფორმაციას, ვიდრე შედარებით დაბალი საშუალო თვიური შემოსავლის მქონე პირები.

რამდენად ხშირად გადაგიმომწებით მცდარი/არასწორი ახალი ამბების სიზუსტე? (პროგნოზირებული ალბათობა. ქართულენოვანი სატელეფონო გამოკითხვა)




დიაგრამა 5: დემოგრაფიული ცვლადები და ინფორმაციის გადამონმების სიხშირე

ინფორმაციის გადამონმების სიხშირე განსხვავებულია აჭარის რეგიონის, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის ჯგუფშიც. როგორც ინფორმაციაში ეჭვის შეტანასთან მიმართებით გამოვლინდა, სომხურენოვანი მოსახლეობა(32%) უფრო მაღალი ალბათობით მიუთითებს ინფორმაციის გადამონმების სიხშირეზე, ვიდრე აჭარის რეგიონის(14%) და აზერბაიჯანულენოვანი მოქალაქეები(4%). როგორც ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვის შემთხვევაში, ასევე რეგიონების მოსახლეობის პირისპირ გამოკითხვაშიც, ინფორმაციის გადამონმების სიხშირე, ასევე, დაკავშირებულია ასაკთან. ამ შემთხვევაშიც, ახალგაზრდები(24%) და შუა ხნის ადამიანები (22%) უფრო მაღალი ალბათობით ამონმებენ ინფორმაციის სანდოობას, ვიდრე უფროსი ასაკის მოქალაქეები (14%).

პოლიტიკური ინფორმირებულობა დემინფორმაციისადმი მონყვლადობის განმსაზღვრელი მესამე ინდიკატორია. აღმოჩნდა, რომ ეს უნარი არათანაბრად არის წარმოდგენილი სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფში. ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით, სქესი, ასაკი და განათლების დონე დაკავშირებულია ინფორმაციის სწორად შეფასების უნართან. კაცები უფრო მაღალი ალბათობით აფასებენ სწორად გზავნილებს, ვიდრე ქალები. უფროსი ასაკის ადამიანები 6% პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით აფასებენ ინფორმაციას სწორად, ვიდრე ახალგაზრდები. შუა ხნის ადამიანებსა და ახალგაზრდებს შორის კი ინფორმაციის შეფასების სისწორის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობს. რაც შეეხება განათლების დონეს,

უმაღლესი განათლების მქონე პირები 10% პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით აფასებენ ინფორმაციას სწორად, ვიდრე საშუალო ან მასზე დაბალი განათლების დონის მქონე პირები, ხოლო ტექნიკური და საშუალო ან მასზე დაბალი განათლების დონის მქონე პირები ინფორმაციის სწორად შეფასების უნარის მიხედვით ერთმანეთისგან სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან.

ანლა წაგიკითხავთ რამდენიმე დებულებას და, გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად სიმართლეა ან არ არის სიმართლე? (ინფორმაციის სწორად შეფასების ინდექსი)
(პროგნოზირებული ალბათობა. ქართულენოვანი სატელეფონო გამოკითხვა)





დიაგრამა 6: დემოგრაფიული ცვლადები და ინფორმაციის სწორად შეფასების უნარი

რეგიონის მოსახლეობის პირისპირ გამოკითხვის მონაცემები მიუთითებს, რომ ინფორმაციის სწორი ამოცნობის უნარი შესაძლოა განსხვავდებოდეს რესპონდენტის სქესის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სქესთა შორის გამოვლენილი განსხვავება ამ შემთხვევაში უფრო მკვეთრად იკვეთება, ვიდრე ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვაში. ამ შემთხვევაში, კაცები (83%) უფრო მაღალი ალბათობით აფასებენ ინფორმაციას სწორად, ვიდრე ქალები (73%).

რეგიონის მოსახლეობის პირისპირ გამოკითხვაში, ასაკი და განათლება აღარ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაკავშირებული ინფორმაციის სწორად ამოცნობის უნართან, თუმცა მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა დასაქმების ტიპი. კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანები განსხვავდებიან საჯარო სექტორში დასაქმებული პირებისაგან ინფორმაციის სწორად ამოცნობის უნარის მიხედვით, ხოლო დასაქმების სხვაგვარი სტატუსის მქონე მოქალაქეები, ამ თვალსაზრისით, არ განსხვავდებიან საჯარო სექტორში დასაქმებულებისგან. მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორში დასაქმებულებს უფრო მაღალი ალბათობით შეაქვთ ეჭვი ინფორმაციის სისწორეში, ვიდრე საჯარო სექტორში დასაქმებულებს, ამ უკანასკნელ ჯგუფში ინფორმაციის სწორად ამოცნობის ალბათობა უფრო მაღალია (87%), ვიდრე კერძო სექტორში დასაქმებულებს შორის (70%).

დემოგრაფიული ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ანტიდასავლურ და პროდასავლურ ნარატივებში დარწმუნებულობის ხარისხის მიხედვითაც. ანტიდასავლური ნარატივების მიმართ დარწმუნებულობის დონე შედარებით მაღალია მამაკაცებში, უფროსი ასაკის რესპონდენტებში, საშუალო განათლების მქონე და რელიგიურობის შედარებით მაღალი დონით გამორჩეულ ინდივიდებში. ხოლო პროდასავლური ნარატივების მიმართ დარწმუნებულობის დონე უფრო მაღალია ქალებში, ახალგაზრდებსა და ნაკლებად რელიგიურ რესპონდენტებში.



დიაგრამა 7: რამდენად შეესაბამება ან არ შეესაბამება სიმართლეს მოცემული დებულებები (ანტიდასავლური-მარჯვნივ, პროდასავლური-მარჯვნივ) (პროგნოზირებული ალბათობა)

დემინფორმაციისადმი მონყვლადობის სამი ძირითადი ინდიკატორის - ეჭვის შეტანა, გადამონმება და ინფორმაციის სწორად ამოცნობა - ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულენოვანი და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფები ერთმანეთს ემთხვევიან ასაკისა და სქესის მიხედვით წარმოჩენილი ტენდენციებით, თუმცა განხვავდებიან სხვა დემოგრაფიული ფაქტორების მიხედვით. ორივე ჯგუფში ახალგაზრდები უფრო ხშირად ამონმებენ ინფორმაციას, ვიდრე უფროსი ასაკის პირები, ხოლო სქესის მიხედვით, კაცებს უფრო მაღალი ალბათობა აქვთ, რომ სწორად ამოიცნონ დემინფორმაციული გზავნილები. ქართულენოვან ჯგუფში ინფორმაციის გადამონმების პრაქტიკა, ასევე, დაკავშირებულია განათლების დონესთან და ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალთან, მაშინ როდესაც ეთნიკურ უმცირესობებში ეს კავშირები არ იკვეთება.


რეგიონის მოსახლეობის პირისპირი გამოკითხვების მიხედვით, ეთნიკურ უმცირესობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია დასაქმების ტიპი: კერძო სექტორში დასაქმებულები და თვითდასაქმებულები უფრო კრიტიკულები არიან, თუმცა საჯარო სექტორში დასაქმებულები უკეთ ასრულებენ ინფორმაციის სწორი ამოცნობის ამოცანას. ასევე, განსხვავდება ჯგუფებს შორის ინფორმაციაში ეჭვის შეტანის მაჩვენებელი: სომხურენოვან რესპონდენტებში შედარებით მაღალია როგორც ეჭვის შეტანის, ისე გადამონმების ტენდენცია, მაშინ როცა აზერბაიჯანულენოვან ჯგუფში ეს მაჩვენებლები შედარებით დაბალია.

პრო- და ანტიდასავლური ნარატივების მიმართ დარწმუნებულობის ანალიზი აჩვენებს, რომ ანტიდასავლურ ნარატივებში რწმენის დონე შედარებით მაღალია მამაკაცებში, უფროსი ასაკის და უფრო რელიგიურ რესპონდენტებში, მაშინ როდესაც პროდასავლური ნარატივების მიმართ დარწმუნებულობა უფრო ხშირად გვხვდება ქალებში, ახალგაზრდებსა და ნაკლებად რელიგიურ ჯგუფებში.

პარტიული მიკუთვნებულობა და დემინფორმაცია

აღსანიშნავია, რომ პარტიული მიკუთვნებულობის თვალსაზრით, გამოკითხული მოსახლეობის თითქმის ყველა ჯგუფში, პარტიული მიკუთვნებულობის არმქონე ადამიანები წილი ნახევარზე მეტია. ქართული ოცნების მხარდამტყრები ყველაზე ხშირად გვხვდებიან აჭარის რეგიონის მოსახლეობის პირისპირ გამოკითხვაში, შემდეგ სომხურენოვან მოსახლეობაში, ქართულენოვან (სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით) და ბოლოს, აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში. სხვა პარტიას, როგორც


რესპონდენტის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომ პარტიის, ყველაზე ხშირად ასახელებენ სომხურენოვანი მოქალაქეები (16%), სხვა ჯგუფებში ეს მაჩვენებელი 4%-დან 7%-მდე მერყეობს.



დიაგრამა 8: საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი მათგანი დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (%)

დემოგრაფიული ცვლადების გაკონტროლების პირობებში, პარტიული მიკუთვნებულობა სტატისტიკურად სანდოდ უკავშირდება დემინფორმაციისადმი მონყვლადობის სამივე ინდიკატორს.


ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით, ადამიანებს, რომლებიც მხარს უჭერენ სხვა პარტიას, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებთან შედარებით, 13% პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით უჩნდებათ ეჭვი გავრცელებული ინფორმაციის მიმართ. არცერთი პარტიისა და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები კი გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის ალბათობით ერთმანეთისგან სტატისტიკურად სანდოდ არ განსხვავდებიან. შესაბამისად, გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის ალბათობა ყველაზე მაღალია სხვა პარტიის მხარდამჭერებში, ხოლო „ქართული ოცნებისა“ და არცერთი პარტიის მხარდამჭერები დემინფორმაციისადმი მონყვლადობის აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.



დიაგრამა 9: პარტიული მიკუთვნებულობა და გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირე


რაც შეეხება ინფორმაციის გადამონმების სიხშირეს, მასში ეჭვის შეტანის სიხშირის მსგავსად, სხვა პარტიის მხარდამჭერები 11% პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით ამონმებენ ინფორმაციას, ვიდრე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. ამავდროულად, არცერთი პარტიის

მხარდამჭერები, 5% პუნქტით უფრო ნაკლები ალბათობით ამონმებენ ინფორმაციას, ვიდრე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები. შესაბამისად, ინფორმაციის გადამონმების ალბათობა ყველაზე მაღალია სხვა პარტიის წარმომადგენლებში, შემდეგ „ქართული ოცნებისა“ და ყველაზე ნაკლებად, არცერთი პარტიის მხარდამჭერებში.



დიაგრამა 10: პარტიული მიკუთვნებულობა და გავრცელებული ინფორმაციის გადამონმების სიხშირე

პარტიული მიკუთვნებულობა სტატისტიკურად სანდოდ უკავშირდება პოლიტიკურ ინფორმირებულობასაც საინტერესოა, რომ სხვა პარტიის მხარდამჭერები უფრო მაღალი ალბათობით აფასებენ ინფორმაციის სისწორეს, ვიდრე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, თუმცა, ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. არცერთი პარტიის მხარდამჭერები კი 11% პუნქტით უფრო ნაკლები ალბათობით აფასებენ ინფორმაციას სწორად, ვიდრე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები. შესაბამისად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ არცერთი პარტიის მხარდამჭერები ყველაზე ნაკლებად ახერხებენ ინფორმაციის სიზუსტის წარმატებით შეფასებას, ხოლო „ქართული ოცნებისა“ და სხვა პარტიის მხარდამჭერები ამ თვალსაზრისით ერთმანეთისაგან სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან.



დიაგრამა 11: პარტიული მიკუთვნებულობა და ინფორმაციის სწორად შეფასების უნარი

ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვის ანალოგიური ტენდენცია გამოვლინდა რეგიონების მოსახლეობის პირისპირ გამოკითხვაში, ინფორმაციაში ეჭვის შეტანისა და ინფორმაციის გადამონმების სიხშირის თვალსაზრისით. კერძოდ, სხვა პარტიის მხარდამჭერებს (38%) უფრო მაღალი ალბათობით შეაქვთ ეჭვი ინფორმაციის სანდოობაში, ვიდრე ქართული

ოცნების მხარდამჭერებს (19%). არცერთი პარტიის მხარდამჭერები (25%) კი მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ქართული ოცნების მხარდამჭერებისაგან ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირის თვალსაზრისით. ასევე, სხვა პარტიის მხარდამჭერები(35%) უფრო მაღალი ალბათობით ამონიშნავენ ინფორმაციის, ვიდრე ქართული ოცნების მხარდამჭერები(18%), ხოლო არცერთი პარტიისა(16%) და ქართული ოცნების მხარდამჭერები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან ინფორმაციის გადამოწმების სიხშირის მიხედვით. საინტერესოა, რომ რეგიონების მოსახლეობის პირისპირი გამოკითხვის მიხედვით, პარტიული მიკუთვნიებულობა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ უკავშირდება ინფორმაციის სწორად ამოცნობის უნარს.

პარტიული მიკუთვნიებულობა სტატისტიკურად სანდოდ უკავშირდება პროდასავლური და ანტიდასავლური ნარატივების მიმართ დამოკიდებულებასაც. კერძოდ, ანტიდასავლური ნარატივების მიმართ დარწმუნებულობის ხარისხი ყველაზე მაღალია ქართული ოცნების მხარდამჭერებში, ხოლო პროდასავლური ნარატივების მიმართ დარწმუნებულობის ხარისხი ყველაზე მაღალია სხვა პარტიის მხარდამჭერებში, ქართული ოცნებისა და არცერთი პარტიის მხარდამჭერებთან შედარებით.




დიაგრამა 12: რამდენად შეესაბამება ან არ შეესაბამება სიმართლეს მოცემული დებულებები (ანტიდასავლური-მარჯვნივ) (პროგნოზირებული ალბათობა)

პარტიული მიკუთვნიებულობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს დებინფორმაციისადმი მონწყვლადობის განსაზღვრაში. როგორც ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვამ, ისე რეგიონების პირისპირ გამოკითხვამ აჩვენა, სხვა პარტიების მხარდამჭერები გამოირჩევიან დებინფორმაციისადმი შედარებით მაღალი მედეგობით: მათ უფრო ხშირად შეაქვთ ეჭვი გავრცელებული ინფორმაციის სისწორეში და უფრო ხშირად ამონიშნავენ მიღებულ ინფორმაციას. სატელეფონო გამოკითხვის მონაცემებით, ამ ჯგუფს ასევე უკეთესი შედეგები აქვს ინფორმაციის სწორად შეფასების უნარში. არცერთი პარტიის მხარდამჭერები კი შედარებით ნაკლებად აქტიურობენ ინფორმაციის გადამოწმებაში და აჩვენებენ ყველაზე დაბალ ქულას ინფორმაციის შეფასების სიზუსტეში, რაც მათი მონწყვლადობის შედარებით მაღალ დონეზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ რეგიონის მოსახლეობაში, პარტიული მიკუთვნიებულობა არ უკავშირდება ინფორმაციის სწორად შეფასების უნარს. ამავე დროს, პარტიული მიკუთვნიებულობა სტატისტიკურად სანდოდ უკავშირდება პრო- და ანტიდასავლური ნარატივების მიმართ დამოკიდებულებას: ანტიდასავლურ ნარატივებში დარწმუნებულობის დონე ყველაზე მაღალია

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერებში, ხოლო პროდასავლური ნარატივების მიმართ რწმენა - სხვა პარტიების მხარდამჭერებში.

პოლიტიკური პოლარიზაცია და დემინფორმაცია

პოლიტიკური პოლარიზაციის მაჩვენებელი ყველა ჯგუფში აღემატება 50%-ს, თუმცა ყველაზე მაღალია ქართულენოვან მოსახლეობაში (როგორც აჭარის რეგიონის პირისპირ გამოკითხვის, ისე მთლიანად, ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით), ხოლო შედარებით ნაკლებია აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან მოსახლეობაში.




დიაგრამა 13: პოლარიზაციის ინდექსი (%)


ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით, დემოგრაფიული ცვლადების გაკონტროლების პირობებში, პოლარიზაცია სტატისტიკურად სანდოდ არის დაკავშირებული ინფორმაციის გადამონშემების სიხშირესა და სწორად შეფასების უნართან, თუმცა არა - გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირესთან.

მოქალაქეები, რომლებიც გარკვეული ხარისხით მაინც არიან პოლარიზებულნი, 8% პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით ამონშებენ გავრცელებულ ინფორმაციას, ვიდრე ისინი, რომლებიც არ არიან პოლარიზებულნი. ასევე, ისინი, ვინც გარკვეული ხარისხით მაინც არიან პოლარიზებულნი, 13% პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით აფასებენ გზავნილებს, ვიდრე ისინი, ვინც პოლარიზებულნი არ არიან.

რამდენად ხშირად გადაგიმონშებიათ მცდარი/არასწორი ახალი ამბების სიზუსტე?
(პროგნოზირებული ალბათობა. ქართულენოვანი სატელეფონო გამოკითხვა)



ახლა წაგიკითხავთ რამდენიმე დებულებას და, გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად სიმართლეა ან არ არის სიმართლე? (ინფორმაციის სწორად შეფასების ინდექსი)
(პროგნოზირებული ალბათობა. ქართულენოვანი სატელეფონო გამოკითხვა)



დიაგრამა 14: პოლარიზაცია, ინფორმაციის გადამონშების სიხშირე (მარცხნივ) და ინფორმაციის სწორად შეფასების უნარი (მარჯვნივ)


დემოგრაფიული ფაქტორების გაკონტროლების პირობებში, პოლიტიკური პოლარიზაცია მჭიდროდ უკავშირდება ინფორმაციის გადამონშების სიხშირესა და მისი სწორად შეფასების უნარს, თუმცა, მისი კავშირი გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირესთან არ გამოვლინდა. ეს შედეგი აჩვენებს, რომ უფრო პოლარიზებულ ადამიანებს, მაშინაც კი, როცა თავდაპირველად არ უნდებოდათ კითხვები ინფორმაციის სისწორესთან დაკავშირებით, აქვთ გამოკვეთილი მიდრეკილება, გადაამონშონ ინფორმაცია და მაღალი სიზუსტით შეძლონ პოლიტიკური შინაარსის გაანალიზება. შესაბამისად, პოლარიზაცია შესაძლოა, გარკვეულწილად იცავდეს ინდივიდს დემინფორმაციის გავლენისგან.

საინტერესოა, რომ რეგიონების მოსახლეობის პირისპირი გამოკითხვის მიხედვით, პოლარიზაცია არ არის დაკავშირებული ინფორმაციაში ეჭვის შეტანის, მისი გადამონშებისა და ინფორმაციის სწორად ამოცნობის უნართან. რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შორის პოლარიზაციასა და დემინფორმაციისადმი მონყვლადობის ინდიკატორებს შორის კავშირის არარსებობა შესაძლოა აიხსნას ორი ძირითადი ფაქტორით: ენობრივი და ინფორმაციული ბარიერებითა და პოლიტიკურ დისკურსში შედარებით დაბალი ჩართულობით. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ხშირად მოიხმარენ მედიას საკუთარ მშობლიურ ენაზე და შესაბამისად, მათ ნაკლები წვდომა აქვთ ქართულენოვან პოლიტიკურ ნარატივებზე. ამას ემატება შედარებით დაბალი ჩართულობა სახელმწიფოებრივ პროცესებსა და ქართულ პოლიტიკურ დებატებში, რაც შესაძლოა განაპირობებდეს მკაფიო პოლიტიკური იდენტიფიკაციის ნაკლებობას. ამ პირობებში, პოლიტიკურ პოლარიზაციას არ შეუძლია იქცეს იმგვარ კოგნიტურ თუ ქცევით ფაქტორად, როგორც ის არის ქართულენოვან მოსახლეობაში.

კონსპირაციული ამროვნება და დემინფორმაცია

გლობალური ომის პარტიის არსებობის უფრო მეტად სჯერა ქართულენოვან მოსახლეობას (როგორც აჭარის რეგიონი პირისპირი გამოკითხვის, ისე მთლიანად, ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით), ვიდრე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით, სომხურენოვან მოქალაქეებს. თუმცა, როდესაც საქმე ეხება კონსპირაციული ამროვნებისადმი ზოგადი მონყვლადობას სურათი საპირისპიროა: სომხურენოვან რესპონდენტებში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია, ხოლო ქართულენოვან რესპონდენტებში — ყველაზე დაბალი. „გლობალური ომის პარტიის“ თემა ქართულენოვან საინფორმაციო სივრცეში ბევრად უფრო აქტიურად ვრცელდება (ტელევიზია, სოციალური ქსელები, პოლიტიკოსების


რიტორიკა), რის გამოც ეს კონკრეტული ნარატივი ქართულენოვანი მოსახლეობისთვის უფრო ნაცნობი და დამაჯერებელია. ეთნიკური უმცირესობები, განსაკუთრებით სომხურენოვანი მოქალაქეები, შესაძლოა ნაკლებად მოიხმარდნენ ქართულენოვან მედიას და შესაბამისად ნაკლებად ექცეოდნენ ამ კონკრეტული ნარატივის ზეგავლენის ქვეშ.



დიაგრამა 15: გვერათ თუ არა, რომ არსებობს „გლობალური ომის პარტია“, რომელიც მსოფლიოში მნიშვნელოვან პროცესებს მართავს? (%) (მარცხნივ); კონსპირაციული აზროვნების ინდექსი(%) (მარჯვნივ)

კონსპირაციული აზროვნების შეფასებისთვის კონსპირაციული აზროვნების ინდექსთან ერთად, გამოვიყენეთ შეკითხვა „გლობალური ომის პარტიის“ შესახებ („გვერათ თუ არა, რომ არსებობს „გლობალური ომის პარტია“, რომელიც მსოფლიოში მნიშვნელოვან პროცესებს მართავს?“). რწმენა „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის შესახებ არ არის გაერთიანებული კონსპირაციული აზროვნებისადმი მონყვლადობის ინდექსში, თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, მისი გამოყენების კონტექსტის გათვალისწინებით.

ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვაში, დემოგრაფიული ცვლადების გაკონტროლების პირობებში კონსპირაციული აზროვნებისადმი მონყვლადობა სტატისტიკურად სანდოდ უკავშირდება გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირეს. კერძოდ, მეტად კონსპირაციული აზროვნების მქონე ადამიანებს 8% პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით შეაქვთ ეჭვი გავრცელებულ ინფორმაციაში, ვიდრე ნაკლებად კონსპირაციული აზროვნების მქონე ადამიანებს. დემოგრაფიული ცვლადების გაკონტროლების შემთხვევაში, რწმენა „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირეს სტატისტიკურად სანდოდ არ უკავშირდება.




დიაგრამა 16: კონსპირაციული აზროვნება და გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის სიხშირე

ასევე, დემოგრაფიული ცვლადების გაკონტროლების პირობებში, კონსპირაციული აზროვნებისადმი მონყვლადობა სტატისტიკურად სანდოდ არის დაკავშირებული ინფორმაციის გადამონმების სიხშირესთან. კერძოდ, კონსპირაციული აზროვნებისადმი მონყვლადი ადამიანები აღნიშნავენ, რომ 4% პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით ამონმებენ ინფორმაციას, ვიდრე ისინი, ვინც ნაკლებად მონყვლადნი არიან კონსპირაციული აზროვნების მიმართ. დემოგრაფიული ცვლადების გაკონტროლების შემთხვევაში, რწმენა „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის შესახებ ინფორმაციის გადამონმების სიხშირეს სტატისტიკურად სანდოდ არ უკავშირდება.



დიაგრამა 17: კონსპირაციული აზროვნება და ინფორმაციის გადამონმების სიხშირე

საინტერესოა, რომ დემინფორმაციისადმი მონყვლადობის წინა ორი ინდიკატორისგან (გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანისა და მისი გადამონმების სიხშირეები) განსხვავებით, დემოგრაფიული ცვლადების გაკონტროლების პირობებში, ინფორმაციის სწორად შეფასების უნარი სტატისტიკურად სანდოდ დაკავშირებულია არა კონსპირაციული აზროვნების ინდექსთან, არამედ „გლობალური ომის პარტიის“ არსებობა-არარსებობის რწმენასთან. კერძოდ, ადამიანები, რომელთაც არ სჯერათ „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის, 4% პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით ამოიციან ინფორმაციას სწორად, ვიდრე ისინი, ვისაც სჯერა, რომ არსებობს „გლობალური ომის პარტია“, რომელიც მართავეს მნიშნელოვან პროცესებს მსოფლიოში.



დიაგრამა 18: რწმენა „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის შესახებ და ინფორმაციის სწორად შეფასების უნარი

რეგიონის მოსახლეობის პირისპირ გამოკითხვაში, კონსპირაციული აზროვნება კავშირშია ინფორმაციაში ეჭვის შეტანისა და მისი გადამონმების სიხშირესთან, თუმცა არა- ინფორმაციის სწორად ამოცნობის უნართან. კერძოდ, ადამიანებს, შედარებით ძლიერი კონსპირაციული აზროვნებით(27%), უფრო მაღალი ალბათობით შეაქვთ ეჭვი ინფორმაციის სანდოობაში, ვიდრე მათ, ვინც ნაკლებად ავლენს კონსპირაციული აზროვნების ტენდენციას(19%). ასევე, ადამიანები, შედარებით ძლიერი კონსპირაციული აზროვნების ტენდენციით(22%), უფრო მაღალი ალბათობით ამონმებენ ინფორმაციის სანდოობას, ვიდრე შედარებით ნაკლებად კონსპირაციული აზროვნების მქონე პირები(13%). რაც შეეხება, რწმენას გლობალური ომის პარტიის შესახებ, მისი კავშირი ინფორმაციის სწორად ამოცნობის უნართან ისეთივე ტენდენციას ავლენს, როგორც ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვაში. კერძოდ, ადამიანები, რომელთაც არ სჯერათ „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის (81%) უფრო მაღალი ალბათობით ამოიცნობენ ინფორმაციას სწორად, ვიდრე ისინი, ვისაც სჯერა, რომ არსებობს „გლობალური ომის პარტია“ (79%) ან არ იცის/უარს ამბობს კითხვაზე პასუხის გაცემაზე (68%).

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ კონსპირაციული აზროვნებისა და დემინფორმაციისადმი მონწყვლადობას შორის მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს, თუმცა, ეს კავშირი კონკრეტული ინდიკატორების მიხედვით განსხვავდება. დემოგრაფიული ცვლადების გაკონტროლების პირობებში, კონსპირაციულ აზროვნებას პოზიტიური კავშირი აქვს როგორც გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანის, ასევე ინფორმაციის გადამონმების სიხშირესთან. კერძოდ, მეტად კონსპირაციული აზროვნების მქონე პირები უფრო მაღალი ალბათობით ეჭვობენ და ამონმებენ ინფორმაციას, ვიდრე ნაკლებად კონსპირაციული აზროვნების მქონეები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კონსპირაციული მიდრეკილებები შესაძლოა, ზოგადი სკეპტიკური დამოკიდებულების ფორმას იძენდეს.

ამასთან, რწმენა „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაში ეჭვის შეტანისა და გადამონმების სიხშირეს არ უკავშირდება, თუმცა, მნიშვნელოვნად უკავშირდება ინფორმაციაზე სწორად რეაგირების უნარს. ადამიანები, რომლებიც ამ ტიპის კონსპირაციულ რწმენას არ იზიარებენ, პროდასავლურ და ანტიდასავლურ გზავნილებს სტატისტიკურად უფრო ზუსტად აფასებენ.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მეტად კონსპირაციული აზროვნების მქონე ადამიანები უფრო ხშირად გამოხატავენ ეჭვს გავრცელებული ინფორმაციის მიმართ და ამავე დროს აცხადებენ, რომ ამონმებენ საეჭვო ამბებს, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ნაკლებად მონწყვლადი არიან დემინფორმაციის მიმართ. ფაქტობრივად, სწორი ინფორმაციის გარჩევის უნარი, რომელიც დემინფორმაციისადმი რეალურ წინააღმდეგობას ასახავს, უფრო მაღალია იმ ადამიანებში, ვისაც არ სჯერა კონკრეტული შეთქმულების თეორიის, კერძოდ, „გლობალური ომის პარტიის“ არსებობის. ეს მიუთითებს, რომ თვითგაცხადებული სკეპტიციზმი და გადამონმების პრაქტიკა ინფორმაციის ობიექტური, სწორი შეფასების უნართან ყოველთვის თანხვედრაში არ არის.

დასკვნა

დემინფორმაციისადმი მედეგობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია პოლიტიკური ინფორმირებულობა. კვლევის მიხედვით, ეს მახასიათებელი უფრო მაღალია მამაკაცებში, უფროსი ასაკის ან უმაღლესი განათლების მქონე პირებში, დედაქალაქის მაცხოვრებლებში და მათში, ვისაც აქვს მკაფიო პარტიული მიკუთვნებულობა. ყველაზე მონწყვლად ჯგუფებად გამოიკვეთა პარტიული კუთვნილების არმქონე მოქალაქეები და ისინი, ვისაც შედარებით დაბალი განათლება ან შემოსავალი აქვთ.

ქართულენოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვისა და ეთნიკური უმცირესობების პირისპირ გამოკითხვის შედეგები ერთმანეთთან გარკვეულ მსგავსებებსა და განსხვავებებს აჩვენებს. ორივე ჯგუფში ახალგაზრდები უფრო ხშირად ამონმებენ ინფორმაციას, ვიდრე უფროსი ასაკის ადამიანები, ხოლო მამაკაცები უკეთ ახერხებენ ინფორმაციის სწორად გარჩევას, ვიდრე ქალები. თუმცა, ქართულენოვან მოსახლეობაში ინფორმაციის გადამონმების პრაქტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლების დონესა და ოჯახის საშუალო თვიურ შემოსავალთან, მაშინ როდესაც ეთნიკურ უმცირესობებში ეს კავშირები არ იკვეთება. უმცირესობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია დასაქმების ტიპი - კერძო სექტორში მომუშავე და თვითდასაქმებული ადამიანები უფრო ხშირად გამოხატავენ ეჭვსა და კრიტიკულ დამოკიდებულებას გავრცელებული ინფორმაციის მიმართ, მაშინ როცა საჯარო სექტორში დასაქმებულები უკეთ ახერხებენ ინფორმაციის სწორად შეფასებას.

პარტიული მიკუთვნებულობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემინფორმაციისადმი მონწყვლადობაში: როგორც ქართულენოვან, ისე უმცირესობათა ჯგუფებში სხვა პარტიების მხარდამჭერები უფრო სკეპტიკურად აფასებენ ინფორმაციას და უფრო ხშირად ამონმებენ მას, მაშინ როცა პარტიული კუთვნილების არმქონე პირები ორივე შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად აქტიურობენ და დაბალ მაჩვენებლებს აჩვენებენ სწორი გარჩევის უნარშიც. ამასთან, გამოვლინდა, რომ პარტიული მიკუთვნებულობა სტატისტიკურად სანდოდ უკავშირდება პრო- და ანტიდასავლური ნარატივების მიმართ დამოკიდებულებას: ანტიდასავლურ ნარატივებში დარწმუნებულობის დონე ყველაზე მაღალია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებში, ხოლო პროდასავლური ნარატივების მიმართ რწმენა - სხვა პარტიების მხარდამჭერებში.

პოლიტიკური პოლარიზაცია ქართულენოვან მოსახლეობაში გარკვეულწილად ამცირებს დემინფორმაციისადმი მონწყვლადობას - პოლარიზებული პირები უფრო ხშირად ამონმებენ და ბუსტად აფასებენ ინფორმაციას. ეთნიკურ უმცირესობებში ეს კავშირი არ გამოვლენილა, რაც,

სავარაუდოდ, ენობრივი და ინფორმაციული ბარიერებითა და პოლიტიკურ დისკურსში შედარებით დაბალი ჩართულობით აიხსნება.

კონსპირაციული აზროვნების მქონე პირები ორივე ჯგუფში უფრო ხშირად გამოხატავენ ეჭვს და ამონმებენ ინფორმაციას, თუმცა ეს ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ სწორი და მცდარი გზავნილების გარჩევა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა „გლობალური ომის პარტიის“ თეორიის რწმენის გავლენა - ამ რწმენის მქონე პირებს, როგორც ქართულენოვან, ისე უმცირესობათა ჯგუფებში, სტატისტიკურად დაბალი ალბათობა აქვთ, რომ ზუსტად შეაფასონ ინფორმაცია.

დამატებით, პრო- და ანტიდასავლური ნარატივების მიმართ დარწმუნებულობის ანალიზი მიუთითებს მკაფიო სოციალურ-დემოგრაფიულ პროფილებზე: ანტიდასავლურ ნარატივებში რწმენა შედარებით მაღალია მამაკაცებში, უფროსი ასაკის და უფრო რელიგიურ რესპონდენტებში, მაშინ როდესაც პროდასავლური ნარატივების მიმართ დარწმუნებულობა უფრო ხშირად გვხვდება ქალებში, ახალგაზრდებსა და ნაკლებად რელიგიურ ჯგუფებში.

საერთო სურათი აჩვენებს, რომ დემინფორმაციისადმი მედეგობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ჯგუფებს შორის და დამოკიდებულია განათლებაზე, ასაკზე, საცხოვრებელ გარემოზე, პარტიულ იდენტობაზე, დასაქმების ტიპზე და კონკრეტულ რწმენებზე. მედიანინგიერების განვითარება, სანდო წყაროების ხელმისაწვდომობა და პოლიტიკურ-ინფორმაციული გარემოს მრავალფეროვნება რჩება გადამწყვეტ ამოცანებად, განსაკუთრებით იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ ან არ აქვთ მკაფიო პოლიტიკურ მიკუთვნებულობა.